საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 209-03
11/02/2022

“ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ” ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N152-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, სამართლის სკოლის დეკანის 2022 წლის 11 თებერვლის N1291-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ” ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N152-03 ბრძანების პირველ პუნქტში, კერძოდ რეგისტრაციის ვადის ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტუდენტების ელექტრონული რეგისტრაციის ვადა, რომლებმაც მოიპოვეს მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, განისაზღვროს 2022 წლის 11 თებერვლიდან 14 თებერვლის 16:00 საათამდე, შემდეგ ელ. მისამართებზე:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - mobility.arts_sciences@iliauni.edu.ge;

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - application_se@iliauni.edu.ge.

გ) სამართლის სკოლა - mobiloba.law@iliauni.edu.ge);

დ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - mobility.bte@iliauni.edu.ge

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის

დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი